

ხელნაწერი: ... (H-1759), XIX ს.

მინაწერები

პოემის ბოლოს

თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა
თქმული ბატონის შვილისა გამგებლის პატრონისა ვახტანგისა:
მე ვსწერ ძმის წული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა გამგებელი ქართლის ვახტანგ წიგნსა ამას
ამისთვის უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნოდეს მის
რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშაკვევისა სამუშაკოსა მსგავსად თვალთა
რომელთა ვერა სცნობენ მცნობელნი და ჭიქასა ქვად პატრონისად საოელ სდებენ და
მარგალიტთა მძივად პატივ სცემენ და ესეცა ვთქვათ მსგავსად ჭიისა მის რომელი არს გვამთა
მფრინვლის ათა გემოვნებისა და განძლომისა თვისსათვის სჭამს მფრინველსა მას ჭამითა მით
მასცა მოკლავს და თვტცა მოკვდების აწ მე ამისთვის დავშვერ ეს ხომ ყოველთა მეცნიერთაგან
საცნაურ არს რომ ესე ვითარი მეცნიერი კაცი არცა დაშვრებოდა წარსაწყმედელად და რადგან
ქრისტიანი იყო არცა აღუდგებოდა ესე ოდენსა ხანსა ამას წინ რომ ელი იტყვს რომელმან
მიხედოს დედაკაცს გულის თქმად შემდგომითურ მაგრა ამაღ თქვა თუცა ეთქვა წმიდათა
წერილთაებრ ვინ გაუშვებდა გრიგოლის და ოქროპირისა და სხვასა ესე ვითარსა და ამას
შეიყვარებდა აწ ამის მიზეზისათვის ესე თქვა უსწავლნი და უმეცარნი სოფლის საშველად და
სიბრძნესდ შერაცხს და მით სიხარულად შეიტკობზს ხოლო რომელნი არიან მეცნიერ სცნობენ
ესრეთ ვითარ განიმარტვის და რომ არს სიბრძნისა და კეთილისა ერთი დარგი; და ამით
ნამუშაკარი მისი სხვისაებრ უქმად არ დარჩება და აწ ესე მოისმინეთ ვეფხისტყაოსანი მე ასე
მითარგმნია და თუცა უწესოდ იყოს და ანუ უკეთ სცნოთ ვინმე თქვენცა სთარგმნეთ მრავალთა
ორთა და სამთა უთარგმნია ერთი მე ასე მივხვდი და მითქვამს რაც რუსთველისა იმას გარდა
არა მითქვამს რა და ვინც გინდა იმან სთარგმნეთ სხვის ნათქვამს როგორც ჰსთარგმნით ყველა
ეკადრება მაგრამ ამისი უკადრისის მკადრე თავს გმობს აწ ასრე ვსთარგმნე ვითა მას მთქმელსა
ეთქვა მე თარგმანი მრავალი დამირჩა არათუ ამისთვის თუცა ესე ვიპოვნე მაგრამ ერთად
მოუცლელობისათვის მეორედ გზა და რიგი გამირკვევია ვისცა თარგმანი გინდათ ასეა ამისი
თარგმანი და აწ თქვენ ამ გზით დარგმნიდეთ და ამის ბაასობაზედ შეექცეოდეთ თუცა სულ
მეთარგმნა სხვა რას იქმოდა და თუცა ვინმე ამ თარგმანისას ამას ბრძანებს არა ისრე არისო მე
უგბილობაში ჩამომირთმევია ამისთვის თავად რუსთველის დროს ქალი ბატონად დაამგვარი
მეძაობის სიტყვა იმის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიცა და როგორ არ უწყენდა და მეორედ
ორი კათალიკოზი რამთონი სამღვდელო წმიდა და ღირსნი იყვნენ და ამთონი უდაბნო
აშენებული იყო ისინი თუცა რუსთველს მოენდომებინა როდის აქნევ ინდებდენ და ნათქვამსა
დაუხვეველს როდის გაუშვებდენ თვარამ ახლა გასინჯეთ ბერი უფრო ცოტა არის და
მაშინდელიობა და ახლანდელიობა შორიშორ არის თუცა ვინც სამეძაო წიგნი მოინდომოს
დასაწერად კიდევ არ დაუშალონ და კიდევ არ უწყინონ მაგრამ თუ უნდა ესეც არ იყოს და ისე
იყოს თარგმანი ხომ ასრე სჯობს ღთისა და კაცს წინ მე ასე მიჯობინებია და ამას იქით

მკითველთ იცით მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ ქვეყანის უფროსი ავის
დამშლელი ჯამს და ამაღ დავშვერ.